ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №230/01-01, 24.12.2015წ.
დანართი №1

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის ფარგლებში სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2015/2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი

კანდიდატები შეირჩევიან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიის მიერ დოკუმენტაციის განხილვის გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. სამუშაო გეგმა
2. მოტივაცია

ბ) დამატებითი დეტალების დაზუსტების მიზნით საკონკურსო კომისიამ, შესაძლოა, მოითხოვოს კანდიდატებთან გასაუბრება.

4. კომისიის შეფასება

ა) კანდიდატების შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

5. კანდიდატების გამოვლენა

კანდიდატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.